ახალი განთიადი

„მეფენიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძვერს გული„

89-ე წელი ოჯეფნთან ერთად!

2020 წელი 23 მარტი № 3 № 8156

ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

ქასპის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელად დაინიშნა თამაზ ტატანაშვილი

გვ2.

მარაგები საკმარისია და შემოტანის პროცესი მიმდინარეობს

საქართველოს რეგიონებში შექმნილ საკოორდინაციო ჯგუფებს კოორდინაციას უწევენ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი რეგიონალურ საკითხებში სოზარ სუბარი.

ქვეყანაში პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით შექმნილი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში, შიდა ქართლის გუბერნატორის ხელმძღვანელობით რეგიონში საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფი მოქმედებს.

შიდა ქართლის გუბერნატორი რეგიონში მოქმედი სასურსათო სექტორის წარმომადგენლებს ხვდება. ქსელურ მაღაზიათა მენეჯერების განცხადებით, სავაჭრო ქსელებში მარაგები საკმარისია და შემოტანის პროცესიც შეუფერხებლად მიმდინარეობს.

“ახალი კორონავირუსის გავრცელება მსოფლიოს პრობლემაა, შესაბამისად, პანდემიით გამოწვეული პრობლემების ფონზე, ვცდილობთ, ყველა შესაძლო რისკი მინიმუმამდე შევამციროთ, ამიტომ, ინტენსიურ რეჟიმში ვხვდებით ყველა იმ სექტორის წარმომადგენლებს, რომლებიც მოსახლეობის უსაფრთხოებისა და აუცილებელი საჭიროებებით უზრუნველყოფას განაპირობებს. ამჯერად, შიდა ქართლის სავაჭრო დაწესებულებების მენეჯერებს ვხვდებით. ამ სექტორის წარმომადგენლებმა მოგვაწოდეს ინფორმაცია, რომ შიდა ქართლის რეგიონში სასურსათო მარაგების პრობლემა არ დგას, მარაგები საკმარისია და შემოტანის პროცესიც შეუფერხებლად მიმდინარეობს. აღნიშნულის გარდა, შესაბამისი რეკომენდაციების საფუძველზე, აცხადებენ, რომ იცავენ უსაფრთხოებისა და ჰიგიენის წესებს, იყენებენ დეზობარიერებსა და ანტიბაქტერიულ სითხეებს” - განაცხადა შიდა ქართლის გუბერნატორმა გიორგი ხოჯევანიშვილმა.

საგზაო ინფრასტრუქტურა

გვ2.

სრული რეაბილიტაციის ეტაპი

გვ2.

ქასპში პროფესიული სასწავლებელი შენდება

გვ2.

შეხვედრა ტარიელ შარიფაშვილის სახელობის სტიპენდიანტებთან

იმედის ტალღა

გვ7.

გვ3.

გილოცავთ ჯანმრთელობას!

გვ3.

მომავალ თაობაზე ზრუნვის ეგიდით

გვ7.

საწვრთნელი ვარჯიშების განახლებამდე

გვ3.

თორმეტშაბათობს ხმა არ ისმის, როიალიც ლუმს...

გვ3.

მარტის თოვლი

ციფრები ისტორიიდან

გვ5.

მსოფლიო ვირუსის პირისპირ

გვ6.

ვირუსი ადამიანებს ერთმანეთისგან ვერ გაგვიყოფს

გვ3.

იაპონელი ექიმები იძლევიან რჩევას..

გვ3.

ხელის ანტისეპტიკური ხსნარის დასამზადებელი რეცეპტი

გვ4.

სოფელ თეზში გზის მოასფალტება მიმდინარეობს

გვ4.

სადეზინფექციო სამუშაოები

გვ4.

89-ე წელია ჩვენი გზაცთა ირწმენ, ვგრძოვენ, ირბინეს ალბერეს, ხარეს ვრ ოხლის ყვითელ ჭრილს, ქმნის ჩვენი ცხოვრების შეფოლვა-ზიბილ მეცინვის ...

გზლით ჩვენი მეთხვილი!

ახალი
განთიადი
ახალი
განთიადი
ახალი
განთიადი
ახალი
ახალი
ახალ

კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელად დაინიშნა თამაზ ტატანაშვილი

კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელად დაინიშნა თამაზ ტატანაშვილი.

დაბადების თარიღი: 18.07.1957 წ.

განათლება:

1996 - 2000 წწ. შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია, სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი.

1986 - 1987 წწ. სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აკადემია.

1978 - 1984 წწ. უკრაინა, დნეპროპეტროვსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორიის ფაკულტეტი.

სამუშაო გამოცდილება: 2020 წლის 11 მარტიდან კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი.

2017 წლის 20 დეკემბრიდან 2020 წლის 10 მარტამდე კასპის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე.

2007 - 2015 წწ. შ.პ.ს. "ბლექსიგრუპი"-ს ეკონომიკური უსაფრთხოების სამსახურის უფროსი.

1986 - 2006 წწ. სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო.

1994 - 1997 წწ. სამთავრობო დაცვის სპეციალური სამსახური.

ოჯახური მდგომარეობა:

დაოჯახებული.

შეხვედრა ტარიელ შარიფაშვილის სახელობის სტიპენდიანტებთან

კასპის მუნიციპალიტეტის (ყოფილი) მერი მანუჩარ მერებაშვილი და თამარ შარიფაშვილი ტარიელ შარიფაშვილის სახელობის სტიპენდიანტებს შეხვდნენ.

სტიპენდიანტები 6 თვის განმავლობაში ყოველთვიურად 500 ლარს მიიღებენ, მათი შეფასების საშუალო მაჩვენებელი 99 ქულაზე მეტია. ესენი არიან: ლაშა ბუთხუზი და ანა ბერიანიძე (კასპის №2 საჯარო სკოლა), ეკა ონეზაშვილი (სოფელ სასირეთის საჯარო სკოლა), ნატალი მჭედლიძე (სოფელ სამთავისის საჯარო სკოლა), თამარ ბაისონაშვილი და ევგენია ალიმბარაშვილი (სოფელ ხოვლის საჯარო სკოლა), ზაირა კუნდუხაშვილი (ლამისყანის საჯარო სკოლა), ანი ბექაური (შპს "ბესიკ ნიპარიშვილი" მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზია) და მარიამ შუბითიძე (კასპის №1 საჯარო სკოლა).

სიმბოლურია, რომ თქვენთან შეხვედრით ვასრულებ ჩემს ამ თანამდებობაზე ყოფნას ახალგაზრდებთან, თქვენ ამ ქვეყნის მომავალი ხართ და ვსაუბრობთ ჩვენი რაიონის და ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილზე ტარიელ შარიფაშვილზე. რამდენიმე წლის განმავლობაში ჯერ, როგორც საკრებულოს თავმჯდომარეს, შემდეგ მუნიციპალიტეტის მერს მქონდა საშუალება მემსახურა ქვეყნისთვის. მადლობა ნდობისა და თანადგომისთვის.

მიუხედავად საზოგადოების საჭირო პროექტების განხორციელებისა, მაინც განსაკუთრებულ ემოციას იწვევს იმ ადამიანების სიხარული, ვისთვისაც განსაკუთრებული იყო ჩვენი გადაწყვეტილება. მათ შორის გამორჩეულია შშმ პირების 1000 ლარიანი ვაუჩერი და ღვაწლმოსილი პედაგოგების დაფასება, რაც მათთვისაც განსაკუთრებული დღეები იყო.

მადლობა ჩემი ოჯახის თითოეულ წევრს, ისინი ჩემთვის ყოველთვის საამაყონი არიან. განსაკუთრებული მადლობა ხალხს, თითოეულ თქვენგანს - ყოველდღიურად უამრავ დადებით ენერგიას ვიღებდი თქვენი დამოკიდებულებით.

კასპში პროფესიული სასწავლებელი შენდება

კასპში გრძელდება 200 სტუდენტზე გათვლილი სამსართულიანი, სრულად ადაპტირებული პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა.

თანამედროვე სტანდარტების პროფესიული სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამები რეგიონში მოთხოვნად პროფესიებს ეფუძნება.

მშენებლობა მიმდინარე წელს დასრულდება და რეგიონში პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას შეუწყობს ხელს. სასწავლებელი რეგიონისთვის პრიორიტეტული სოფლის მეურნეობის მიმართულებისა და მასთან დაკავშირებული დარგების - ვეტერინარიის, მექანიზაციისა და მებაღეობა-მეხილეობის სპეციალისტებს მოამზადებს.

ასევე მომზადდებიან ელექტრო შედუღების, ხარატის, მაღალი ძაბვის ელექტროობის, ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების, ამწის ოპერატორ-მემანქანის სპეციალისტები.

სასწავლებელი ხელს შეუწყობს კვალიფიციური, სერთიფიცირებული სპეციალისტების მომზადებას, შესაბამისად დასაქმებასაც. სასწავლებელი ორიენტირებული იქნება ახალი ტექნოლოგიების გამოყენებაზე.

პროექტის ღირებულება 3 893 624 ლარია, რომელსაც საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო აფინანსებს.

საგზაო ინფრასტრუქტურა

სრული რეაბილიტაციის ეტაპი

კასპის მუნიციპალიტეტში დაიწყო სოფლების ყარაფილა - სარიბარი - ზადიანთკარის, თბილისი - სენაკი - ლესელიძის ჩქაროსნულ მაგისტრალთან შემაერთებელი გზების სრული რეაბილიტაციის ეტაპი.

პროექტით გათვალისწინებულია ასფალტის საფარის დაგება 4 200 გრძივ მეტრზე. მოეწყობა რკინა-ბეტონის კიუვეტები, ლითონის ცხაურები, ეზოში შესასვლელები და საგზაო ნიშნები.

გზის ორივე ეტაპის სამუშაოები ფინანსდება რეგიონალური განვითარების ფონდისა და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ.

პროექტზე 2 550 000 ლარი დაიხარჯება, რომლის სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "იბოლია" ახორციელებს.

პროექტი განსაკუთრებული მნიშ

დასასრული გვ-4.

გისურვებთ ჯანმრთელობას!

მიუხედავად იმისა რომ საინფორმაციო საშუალებები გვაწვდიან უახლეს ინფორმაციას, ჯანდაცვის სამსახურები საღღეღამისო რეჟიმში მუშაობენ, გვაქვს კითხვები, რომლებიც არ გვაძლევენ დამშვიდების საშუალებას და პერმანენტულ რეჟიმში ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცნენ – რა არის ახალი კორონავირუსი? – რა მდგომარეობაა ჩვენს მუნიციპალიტეტში? – როგორია ძირითადი პროფილაქტიკური ღონისძიებები? – რა შემთხვევაში მივმართოთ ექიმს? ამ და მკითხველთათვის საინტერესო და საგულისხმო კითხვებზე გვპასუხობს კასპის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი ნანა ნონიაშვილი.



- ქალბატონო ნანა, რა მდგომარეობაა ჩვენს მუნიციპალიტეტში?

- კასპის მუნიციპალიტეტში 16.03.2020 წლის მდგომარეობით არ დაფიქსირებულა დაავადების არცერთი შემთხვევა.

მიმდინარეობს მუდმივი მონიტორინგი, პროფილაქტიკისთვის სადეზინფექციო სამუშაოები ჩატარდა სკოლებში, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, სახელმწიფო დაწესებულებებში, სამედიცინო დაწესებულებებში კი ხორციელდება პროტოკოლის დაცვით.

- რა არის ახალი კორონავირუსი?

ახალი კორონავირუსი (კოვიდ-19) არის კორონავირუსების ახალი შტამი, რომლის ადამიანთა შორის გავრცელება, პირველად 2019 წელს ჩინეთში, ჰუბეის პროვინციაში დაფიქსირდა. ახალი კორონავირუსის დიაგნოზის მქონე პაციენტებს, ვირუსთან ექსპოზიციის შემდგომ, სიმპტომები გამოუვლინდათ 2-14 დღეში.

- როგორ ვრცელდება ახალი კორონავირუსი?

წვეთოვანი გზით: ხველით, ცემინებით. თვალზე, პირზე და ცხვირზე, დაუბანელი ხელის შეხებით.

დაავადებულებთან მჭიდრო კონტაქტით - შეხება, ხელის ჩამორთმევა.

იშვიათ შემთხვევაში ფეკალიებთან კონტაქტით.

- ქალბატონო ნანა, თუ თვითიზოლაცია გჭირდება ე.ი. ავად ხარ? რას ნიშნავს თვითიზოლაცია?

თვითიზოლაცია არ ნიშნავს დაავადებული ადამიანის იზოლაციას, ეს არის პროფილაქტიკის მეთოდი, როდესაც ხდება დაკვირვება ამ შემთხვევაში იმ ადამიანებზე, რომლებიც დაბრუნდნენ რისკ ქვეყნებიდან. თვითიზოლაცია ნიშნავს იზოლირებულად ყოფნას 14 დღის განმავლობაში.

- ჩვენ გვიწევს ცხოვრება პროფილაქტიკური ღონისძიებებით და მაინც, მოდით, დაგვიკონკრეტეთ როგორია ახალი კორონავირუსული ინფექციის ძირითადი პროფილაქტიკური ღონისძიებები...

- ძირითადი პროფილაქტიკური ღონისძიებებია:

ხელები ხშირად დაიბანეთ საპნითა და წყლით ან სპირტის შემცველი ხსნარით.

რატომ?

ხელების დაბანა საპნითა და წყლით ან სპირტის შემცველი ხსნარით, ანადგურებს ხელების ზედაპირზე არსებულ ვირუსებს.

უნდა დავიცვათ სასუნთქი სისტემის ჰიგიენა, კერძოდ ხველისა და ცემინებისას ავიფაროთ პირსა და ცხვირზე ერთჯერადი ცხვირსახოცი ან მოხრილი იდაყვი.

ცხვირსახოცი გამოყენებისთანავე დახურულ ურნაში გადააგდეთ და დაიბანეთ ხელები საპნითა და წყლით ან სპირტის შემცველი ხსნარით.

რატომ?

ხველისა და ცემინების დროს პირსა და ცხვირზე ერთჯერადი ცხვირსახოცის ან მოხრილი იდაყვის აფარებით თქვენ ხელს უშლით ვირუსებისა და მიკრობების გავრცელებას.

ხველისა და ცემინებისას ხელის აფარების შემთხვევაში, თქვენი ხელის ზედაპირებზე არსებულ მიკრობებსა და ვირუსებს ავრცელებთ ირგვლივ მყოფ საგნებზე და ადამიანებზე, ამ ქმედებით კი ხელს უწყობთ ინფექციის გავრცელებას.

მნიშვნელოვანია, შევინარჩუნოთ უსაფრთხო დისტანცია.

შეინარჩუნეთ არანაკლებ 1 მეტრი მანძილი თქვენსა და სხვა ადამიანებს შორის, განსაკუთრებით კი იმ ადამიანებთან, რომლებიც ახველებენ, აცემინებენ, ან მაღალი სიცხე აქვთ.

რატომ?

რესპირაციული ინფექციით ინფიცირებული ადამიანი, მათ შორის ახალი ინფექციით, ხველისა და ცემინების დროს ავრცელებს ვირუსის შემცველ წვეთებს, თუ თქვენ ამ დროს იმყოფებით ძალიან ახლო მანძილზე, შესაძლებელია ჩაისუნთქოთ ვირუსი.

არ შეეხოთ დაბინძურებული ხელებით თვალებს, ცხვირსა და პირს.

რატომ?

ხელებით თქვენ ეხებით ისეთ ზედაპირებს, რომლებიც შესაძლებელია ვირუსით იყოს დაბინძურებული.

თუ დაბინძურებული ხელებით შეეხებით თვალს, ცხვირსა და პირს, შესაძლებელია ვირუსი საგნების ზედაპირიდან საკუთარ თავზე გადაიტანოთ.

- რა შემთხვევაში მივმართოთ ექიმს?

თუ გაქვთ სიცხე, ხველა და სუნთქვის გაძნელება დროულად მიმართეთ ექიმს.

აუცილებლად მიმართეთ სამედიცინო დაწესებულებას თუ იმოგზაურეთ იმ ქვეყანაში სადაც გავრცელებულია ახალი კორონავირუსი, ან კონტაქტში იმყოფებოდით იმ პირთან, რომელმაც უახლოეს ხანში იმოგზაურა ჩინეთში და რესპირაციული ინფექციებისათვის დამახასიათებელი სიმპტომები ჰქონდა.

რატომ?

როდესაც თქვენ გაქვთ ცხელება, ხველა და სუნთქვის გაძნელება, აუცილებელია დაუყოვნებლივ მიმართოთ ექიმს, რადგან ეს სიმპტომები შესაძლებელია გამოწვეული იყოს რესპირაციული ინფექციით ან სხვა სერიოზული დაავადებით.

ცხელება შეიძლება გამოწვეული იყოს ბევრი სხვადასხვა მიზეზით, თქვენი პირადი მოგზაურობის ისტორიიდან გამომდინარე შესაძლებელია ცხელების მიზეზი ახალი კორონა ვირუსი იყოს.

- დავუშვათ გვაქვს მსუბუქი რესპირაციული სიმპტომები და არ გვაქვს მოგზაურობის ისტორია ჩინეთში, როგორ ვიქცევით?

- თუ გაქვთ მსუბუქი რესპირაციული სიმპტომები და არ გაქვთ მოგზაურობის ისტორია ჩინეთში, ზედმიწევნით დაიცავით ხველის ეტიკეტი და ხელის ჰიგიენა, დარჩით სახლში სრულ გამოჯანმრთელებამდე.

დაიცავით ზოგადი ჰიგიენური წესები თუ თქვენ მოგიწიათ ვიზიტი ცხოველების და/ან ზღვის პროდუქტების ბაზარში.

ცხოველებთან და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებთან შეხების შემდეგ რეგულარულად დაიბანეთ ხელები საპნითა და გამდინარე წყლით.

არ შეეხოთ დაბინძურებული ხელებით თვალებს, ცხვირს ან პირს;

თავიდან აიცილეთ ავადმყოფ ცხოველებთან ან გაფუჭებულ ცხოველური წარმოშობის პროდუქტებთან კონტაქტი.

მოერიდეთ ბაზარში ცხოველებთან კონტაქტს (მაგ, მაწანწალა კატები და ძაღლები, მღრღნელები, ფრინველები, ღამურები).

მოერიდეთ მაღაზიებსა და ბაზრებში პოტენციურად დაბინძურებული ცხოველების ნარჩენებთან კონტაქტს.

არ გამოიყენოთ უმი და თერმულად ცუდად დამუშავებული ცხოველური პროდუქტები საჭმელად.

განსაკუთრებულად ფრთხილად მოიქეცით მაშინ, როდესაც გიწევთ უმ ხორცთან ან რძესთან კონტაქტი, რომ თავიდან აიცილოთ უმი პროდუქტებიდან ჯვარედინი დაბინძურება.

- ქალბატონო ნანა, როდის უნდა გამოვიყენოთ ნიღაბი?

- ჯანმრთელმა ადამიანმა ნიღაბი უნდა ატაროს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ უვლის ახალი კორონავირუსით დაინფიცირებულს. თუ ახველებთ და აცემინებთ გაიკეთეთ ნიღაბი. ნიღბის ტარების შემთხვევაში დაიცავით მისი სწორად მოხმარების და გადაგდების წესები.

კელაპტრიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია

ქალაქ კასპში დაიწყო ომარ კელაპტრიშვილის ქუჩის საავტომობილო გზის სრული რეაბილიტაციის სამუშაოები, რომელიც 2018 წელს მოასფალტებული გრიშაშვილის ქუჩის გაგრძელებაა და იგოეთი-კასპი-ახალქალაქის შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზას უერთდება.

ქუჩაზე 2018-2019 წლებში მოწესრიგდა მიწისქვეშა კომუნიკაციები - სასმელი წყლის და საკანალიზაციო სისტემები.

პროექტი ითვალისწინებს 1 068 გრძივ მეტრზე ორფენიანი ასფალტ-ბეტონის საფარის დაგებას, რკინა/ბეტონის ღარების, ეზოში შესასვლელების, გზასთან მისასვლელების და საგზაო ნიშნების მოწყობას.

გზა ადაპტირებულია შშმ პირთა გადაადგილებისთვის.

კეთილმოწყობილი გზით ადგილობრივი მოსახლეობის გარდა, ისარგებლებენ მაცხოვრის სახელობის ეკლესიაში მიმსვლელები.

სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "დინ გრუპი" ახორციელებს და რეგიონალური განვითარების ფონდისა და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ ფინანსდება.

სადეზინფექციო სამუშაოები

კორონა ვირუსთან დაკავშირებით, სადეზინფექციო სამუშაოები ჩატარდა კასპის მუნიციპალიტეტის საჯარო სამსახურის შენობებში (მერია, საკრებულო, ა(ა)იპ, უფასო სასადილო).

სადეზინფექციო სამუშაოები უკვე დასრულებულია მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებსა და საჯარო სკოლებში.

სოფელ თეზში გზის მოასფალტება მიმდინარეობს

კასპის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით დაგეგმილი პროექტებიდან კიდევ ერთის - სოფელ თეზის გზის (დარჩენილი) აღსადგენი მონაკვეთის სრული რეაბილიტაცია/მოასფალტების სამუშაოები მიმდინარეობს.

აღნიშნული გზის სიგრძე 1600 გრძივი მეტრია და მას ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "საგზაო 7" აწარმოებს.

პროექტის ღირებულება 674 553 ლარია. დაფინანსებას უზრუნველყოფს მუნიციპალური განვითარების ფონდი და კასპის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი.

შპს "საგზაო 7" - მა ასფალტის დაგების პროცესი დაიწყო, მანამდე კი მოსამზადებელი სამუშაოები განახორციელა.

მოეწყობა ეზოში შესასვლელები, რკინა-ბეტონის კიუვეტები, საგზაო ნიშნები.

მოსახლეობა გადაადგილებას კეთილმოწყობილი გზით შეძლებს, ეს ნამდვილად სასურველი და საჭირო სიახლეა - აღნიშნავს კასპის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ოკმის ადმინისტრაციულ ერთეულში კობა ჩიტაშვილი.



ხელის ანტისეპტიკური ხსნარის დასამზადებელი რეცეპტი

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაცია

უკვე არაერთხელ, მრავალგზის აღვნიშნეთ, რომ ხელის ხშირი ბანა ან დამუშავება ანტისეპტიკური ხსნარით მნიშვნელოვნად შეამცირებს კორონავირუსით დაინფიცირების რისკს.

პირადი მოხმარებისთვის დასამზადებლად გთავაზობთ პროპორციებს:

800 მლ სპირტი,
40 მლ წყალბადის ზეჟანგი,
15 მლ გლიცერინი

აურიეთ და სტერილური წყლით შეავსეთ 1 ლიტრამდე.

კარგად შევანჯღრიოთ, ჩამოვასხათ ჭურჭელში და გამოვიყენოთ.

საგზაო ინფრასტრუქტურა

სრული რეაბილიტაციის ეტაპი

დასასრული

ვნელობისაა, ვინაიდან აღნიშნული სოფლები ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებია, ხოლო ზადიანთკარი მაღალმთიანიც. სამუშაოების დასრულების შემდეგ რეაბილიტირებული გზით ისარგებლებს 1000-ზე მეტი ბენეფიციარი, ასევე უცხოელი დამკვირვებლებიც.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

ციფრები ისტორიიდან

2018 წელს გლობალური ჯანდაცვის ისტორიაში არსებული ერთ-ერთი უდიდესი კრიზისის - ე. წ. "ესპანური პანდემიის" აღმნიშვნელი თარიღიდან 100 წელი შესრულდა.

ამ გრიპის გავრცელების სიჩქარე და სიმძიმე ისეთი დამთრგუნველი აღმოჩნდა, რომ პლანეტის მოსახლეობის მესამედი (დაახლოებით 500 მლნ) ან მეხუთედი (სხვადასხვა მონაცემების მიხედვით) ნაწილი დაავადდა.

ესპანურის გამომწვევი ვირუსი დღემდე ცნობილთა შორის ყველაზე დაუნდობელი, საყოველთაო და სასტიკი აღმოჩნდა. ორი წლის განმავლობაში ათობით მლნ ადამიანი დაიღუპა - იმაზე მეტი, ვიდრე ის-ის იყო დასრულებულ პირველ მსოფლიო ომში.

1918 წელს პანდემიის ინტენსიურობამ სრულიად წარმოუდგენელ მასშტაბებს მიაღწია. მაშინაც კი, როცა ორწლიანი მოქმედების შემდეგ ავადმყოფობა გარკვეულწილად ჩაცხრა, მაინც 50 მლნ ადამიანზე მეტი დაავადდა. მთლიანობაში, ესპანურმა გრიპმა დედამიწის დაახლოებით 17 მლნ მოსახლე იმსხვერპლა.

სინამდვილეში, 1918 წლის პანდემიას ესპანური სრულიად უსაფუძვლოდ ეწოდა. საფრანგეთსა და შეერთებულ შტატებში გარდაცვლილთა რიცხვი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ესპანეთში. თუმცა, ამ ქვეყნებში ავადობის მონაცემები საომარი მდგომარეობის ცენზურის გამო არ ხმაურდებოდა. ფრანგი ექიმები ამ დაავადების აღმნიშვნელ კოდურ დასახელებას- იყენებდნენ, რაც ავადმყოფობა №11-ს ნიშნავდა.

ესპანეთი ომში ნეიტრალიტეტს იცავდა; შესაბამისად, იქ არც სამხედრო ცენზურა არსებობდა, ამიტომ სწორედ ამ ქვეყანაში გამოჩნდა პირველი პუბლიკაციები პანდემიის თაობაზე.

ამდენად, სახელწოდება ესპანური გრიპი ზემოხსენებული მიზეზით დამკვიდრდა. ესპანეთში აღრიცხული პირველი გარდაცვლილები ბავშვები და ქალები იყვნენ, ისინი უმთავრესად ფილტვების ანთებით, მენინგოენცეფალიტითა და ტვინის შეშუპებით იღუპებოდნენ.

გრიპის ეპიდემია ყოველწლიური მოვლენაა. მართალია, კაცობრიობა უკვე არაერთი ათასწლეულია, რაც ამ დაავადებას იცნობს, მაგრამ დღესდღეობით ის გაცილებით სახიფათოა: მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა, ურბანიზაცია, მასობრივი მიგრაცია, ვაჭრობა - ეს ყველაფერი ავადმყოფობის გავრცელებას ხელს უწყობს.

ამჟამად გრიპთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებას ვაქცინაცია წარმოადგენს. ის აბსოლუტური დაცვის გარანტია არ არის, მაგრამ შეუძლია საგრძნობლად შეამციროს დაავადების რისკი და გააადვილოს ავადმყოფობის პროცესი იმ შემთხვევაშიც კი, თუ ინფექცია ორგანიზმში მაინც შეიჭრება.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოცემულ სპეციალურ, გრიპისადმი მიძღვნილ ბიულეტენში გამოქვეყნებულ სტატიაში გრიპის საიდუმლო ნათქვამია, რომ 1932 წელს პირველად იდენტიფიცირებული ვირუსი - ორტომიკსოვირუსების ოჯახიდან - ყოველწლიურად, სეზონურად ან სპორადურად, ყველა ქვეყანაში თავს იჩენს. ამავე ორგანიზაციის მონაცემებით, ეს დაავადება 250 000-500 000 ადამიანის დაღუპვასა და რამდენიმე მილიონის მძიმე ავადმყოფობას იწვევს.

ბოლო სამი ასწლეულის განმავლობაში, გრიპის, სულ მცირე, 10 გლობალური პანდემია აღინუსხა, რომელთაგანაც სამი გასულ საუკუნეში გავრცელდა, მათ შორის, ე. წ. ესპანური 1918-1919 წლებში.

***

ისტორიულ წყაროებში გრიპის ეპიდემიის მსგავსი დაავადების შესახებ პირველი ცნობები ძვ. წ. 876 წელს ჩნდება, თუმცა სამედიცინო თვალსაზრისით,ძვ. წ. 412 წელს გენიალურმა ჰიპოკრატემ აღწერა დაავადება, რომელიც გრიპს ძალიან მოგვაგონებს. ავადმყოფებს მაღალი სიცხე, ყელისა და თავის ტკივილი აწუხებდათ, თანაც ის ენით აუწერელი სისწრაფით გადადებოდა ერთი ადამიანიდან მეორეს - თუ ვინმე დაავადდებოდა, მალე იგივე ავადმყოფობა მის გარშემო დაახლოებით ათ, ერთი კვირის მერე კი ას ადამიანს შეეყრებოდა.

ასე იწყებოდა ნამდვილი პანდემია, რომელიც ქვეყნებსა და კონტინენტებსაც კი მოიცავდა - ამას მემატიანეები გვამცნობენ. ზოგიერთი თანამედროვე ისტორიკოსის აზრით, ძვ. წ. 404 წელს ათენში მასობრივი სიკვდილიანობის მიზეზი სწორედ გრიპი იყო.

უკვე დადგენილია, რომ ევროპაში გრიპის პირველი, წყაროებში აღწერილი ეპიდემია 1173 წლით თარიღდება, როდესაც იტალიას, გერმანიასა და ინგლისს ციებცხელებით მიმდინარე კატარული დაავადების დიდმა ტალღამ გადაუარა. ამ დაავადების დოკუმენტურად დადასტურებული პანდემია კი 1580 წელს გავრცელდა და მან მოსახლეობის 90 პროცენტი მოიცვა.

შუა საუკუნეებში გრიპის აფეთქებები იშვიათობას არ წარმოადგენდა. მას ხალხი იტალიურ ცხელებას უწოდებდა, რადგან მიაჩნდათ, ავადმყოფობა იტალიიდან ვრცელდებოდა. მკურნალობა კი თაფლისა და ბალახეული ნაყენების მიღებას ითვალისწინებდა და ავადობის მიზეზად ღვთის ნება მიიჩნეოდა.

საუკუნის ბოლომდე გრიპი კონტაგიოზურ (ერთი ადამიანისგან მეორეზე უშუალოდ გადამდებ) დაავადებად არ ითვლებოდა; ვინაიდან ავადმყოფობა ელვისისწრაფით ვრცელდებოდა დიდ დასახლებულ პუნქტებში, ის მიაჩნდათ მიაზმურ პათოლოგიად, რომელიც ადამიანისთვის მავნე უხილავი ობიექტებით - მიაზმებით გადაედებოდათ. ასევე, გრიპს ხშირად კატარულ ეპიდემიას, კონტაგიოზულ ცეფალგიასა და კატარულ ცხელებას უწოდებდნენ.

მომდევნო საუკუნეში ავადმყოფობა უკვე დაწვრილებით შესწავლილ-აღწერილი იყო, მაგრამ სახელწოდება ჯერაც ვერ მოეძებნათ. პირველად მას იტალიელებმა ინფლუენცა(-ზემოქმედება, გავლენა) უწოდეს. ამასთან დაკავშირებული რამდენიმე ჰიპოთეზიდან ერთ-ერთის თანახმად, ავადმყოფობის მიზეზი ვარსკვლავთა განლაგების გავლენა იყო და სწორედ ვარსკვლავთწყობის გარკვეულ ფაზებში დედამიწას თავს ეპიდემია ატყდებოდა; მეორის მიხედვით კი მიზეზს ზამთრის ჰავა წარმოადგენდა.

დაავადების მეორე ოფიციალური სახელი გრიპი (დაჭერა, დამორჩილება), მხოლოდ სამი საუკუნის შემდეგ გაჩნდა (ფრანგულისა და ინგლისურის გავლენით).

ჩინური, ესპანური გრიპის ეპიდემია ხშირად ჩნდებოდა, მაგრამ მსოფლიო მასშტაბებს საუკუნეში სამოთხჯერ აღწევდა. ასეთ მოვლენებს პანდემია ეწოდა. ცნობილი პანდემიის შემთხვევები 1580, 1675, 1729, 1742-1743, 1780, 1831, 1857, 1874-1875 წლებში აღირიცხა.

ასწლეულების განმავლობაში გრიპზე საკმაო ინფორმაცია გროვდებოდა, მაგრამ მკვლევრებმა მისი ბუნების, წარმოშობა-გავრცელების მიზეზებისა და ეფექტიანი მკურნალობის თაობაზე არაფერი იცოდნენ.

1889 წლამდე გრიპის გამომწვევი მიზეზების შესახებ ექიმები თავს იმტვრევდნენ. ვარსკვლავთწყობის ნაცვლად, იმხანად უკვე დაავადების აფეთქებას დედამიწის ელექტრულ ველს, ჰაერში ოზონის მატებას, ტემპერატურულ ცვლილებებსა თუ ნალექების რაოდენობას უკავშირებდნენ.

გერმანელმა ექიმმა რიხარდ პფაიფერმა ამ ფანტასტიკურ თეორიებს წერტილი დაუსვა. 1889-1892 წლების ეპიდემიის დროს ავადმყოფების ნახველიდან აღებულ ნაცხში მან გრიპის გამომწვევი უმცირესი ზომის, ჩხირისებრი ბაქტერია აღმოაჩინა. პფაიფერის მიგნება ფრანგი და სხვა გერმანელი მეცნიერების კვლევებითაც დადასტურდა.

სამეცნიერო სამყარო გამარჯვებას ზეიმობდა, თუმცა იმხანად არც ანტიბიოტიკები და არც გართულებული გრიპის სამკურნალო საშუალება ჯერ კიდევ არ არსებობდა.

პარადოქსია, მაგრამ მკვლევართა აზრით, 1918 წლის ესპანური პანდემია ჩინეთში გაჩნდა. შემდეგ კი სიკვდილის პირველი შემთხვევები ექიმებმა 1918 წლის მარტში - აშშში, აპრილში კი საფრანგეთის, იტალიისა და ესპანეთის საპორტო ქალაქებში დააფიქსირეს. ათ თვეში ესპანური გრიპი მთელ მსოფლიოს მოედო.

1931 წელს ამერიკელმა რიჩარდ შოუპმა, რომელიც გრიპის მიმდინარეობას ღორების პოპულაციაში შეისწავლიდა, აღმოაჩინა, რომ ავადმყოფობას არა ბაქტერია, არამედ ვირუსი იწვევს. ჰიპოთეზა იმის თაობაზე, რომ ადამიანს გრიპი სწორედ ვირუსის გადადების შედეგად ემართება, საკამათო აღმოჩნდა.

ორი წლის კვლევების შემდეგ ადამიანში გრიპის გამომწვევი ვირუსი აღმოაჩინეს.

1933 წელს, პანდემიის დროს ლონდონის ეროვნული სამედიცინო კვლევების ინსტიტუტის მეცნიერებმა უილსონ სმიტმა, კრისტოფერ ენდრიუსმა და პატრიკ ლეიდლოუმ დიდი ექსპერიმენტი ჩაატარეს: ავადმყოფობა ხელოვნურად შეიყვანეს სხვადასხვა ცხოველის ორგანიზმში, გველებით დაწყებული, მღრღნელებით დამთავრებული.

დროის გასვლის შემდეგ გრიპი კვერნისებრთა ოჯახის წარმომადგენელს, ქრცვინს, გადაედო. ორი დღის შემდეგ კი, ერთ-ერთი მეცნიერი, სმიტი, რომელმაც ქრცვინი ხელში აიყვანა, თავად გახდა ავად. ეს გახლდათ ვირუსით ხელოვნური დაინფიცირების პირველი შემთხვევა ისტორიაში. სწორედ ამ კვლევის ფარგლებში პირველად გამოყვეს ადამიანის გრიპის გამომწვევი ვირუსი, რომელსაც გრიპის ვირუსი ეწოდა. იმხანად ყველას სჯეროდა, რომ დაავადების მიზეზი დადგენილია, თუმცა 1940 წელს სამეცნიერო სამყარო კიდევ ერთმა აღმოჩენამ შეძრა - ტომას ფრენსისმა გრიპის კიდევ ერთი, ტიპის ვირუსი აღმოაჩინა, ხოლო 1947 წელს რიჩარდ ტეილორმა ახალი ტიპის ვირუსს მიაგნო.

მას შემდეგ, რაც საბოლოოდ დადგინდა, რომ გრიპს სწორედ ვირუსები იწვევს, დაავადების ისტორიაში არსებული ბევრი იდუმალი ფაქტი ადვილად ასახსნელი და გასაგები გახდა, თუნდაც, მაგ., ავადმყოფობის ცვალებადი ხასიათი, სხვადასხვაგვარობა და გავრცელების უნარი. თუმცა, ამით გრიპთან დაკავშირებული პრობლემები არ შემცირებულა.

სწორედ გრიპის დროში გავრცობილი პრობლემების ფონზე გაჩნდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რჩევები - 5 წესი, რომელიც აუცილებლად უნდა დაიცვათ გრიპით დაავადების შემთხვევაში:

1. აიფარეთ ხელსახოცი ცხვირსა და ყელზე, როცა ახველებთ ან აცემინებთ;

2. ხშირად დაიბანეთ ხელები;

3. დალიეთ ბევრი სითხე (წყალი) და ეცადეთ, მშვიდ გარემოში იმყოფებოდეთ;

4. თუ სუსტი იმუნური სისტემა გაქვთ, შესაძლოა, ანტივირუსული პრეპარატები დაგჭირდეთ;

5. არ დალიოთ ანტიბიოტიკები - ისინი არაეფექტურია, როგორც გაცივების გამომწვევი, ისე გრიპის ვირუსების წინააღმდეგ.

არსებობს წესები, რომელთა დაცვაც აუცილებელია, რომ გრიპი არ გადაგედოთ:

1. ჩაიტარეთ გრიპის საწინააღმდეგო ყოველწლიური ვაქცინაცია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ გრიპი შეგეყრებათ, მისი სიმპტომები სუსტი იქნება.

2.მოერიდეთ ურთიერთობას გრიპით დაავადებულ ადამიანებთან;

3. ეცადეთ, ხელით არ შეეხოთ საკუთარ თვალებს, ცხვირსა და პირს: ყველაზე ხშირად თქვენს სხეულში პათოგენური ორგანიზმები სწორედ ამ გზით ხვდება;

4. თუ დაავადებულ ადამიანთან ერთად ცხოვრობთ, ეცადეთ, ხშირად გაანიაოთ ბინა და დეზინფექცია ჩაუტაროთ ავეჯისა და ნივთების ზედაპირს;

5.ხელ-პირი ხშირად დაიბანეთ.

მსოფლიო ვირუსის პირისპირ

მას შემდეგ, რაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი პანდემიად გამოაცხადა საზოგადოებაში გაჩნდა კითხვა რა არის პანდემია? თურმე, პანდემია არის რომელიმე ახალი დაავადების გავრცელება მთელ მსოფლიოში; დაავადების მდგომარეობა, როდესაც ის სწრაფად ვრცელდება მოსახლეობაში (მსოფლიოს მასშტაბით) მეტ-ნაკლებად ერთდროულად.

ტერმინი ძირითადად ინფექციურ დაავადებებს ეხება, მაგალითად,შავ ჭირს ან გრიპს, მიუხედავად ამისა, მას ხშირად იყენებენ სხვა დაავადებების შემთხვევაშიც, როგორებიცაა, კიბო, სიმსუქნე და დამოკიდებულებაც კი.

საგულისხმოა, რომ პათოგენის გავრცელება მოსახლეობაში, მოიცავს ხუთ ზოგად აღწერილობას.

ენდემურია ინფექცია, რომელიც დროთა განმავლობაში შედარებით სტაბილური რჩება და აინფიცირებს მოსახლეობის პროგნოზირებად რაოდენობას საკმაოდ კარგად შესწავლილი გზებით. მაგალითად, პარაზიტულმა შისტოსომოზმა შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული ინფექციები, მაგრამ როგორც წესი, ისინი მხოლოდ ტროპიკულ რეგიონებში რჩება და დაინფიცირებულთა რაოდენობაც წლიდან წლამდე დიდად არ იცვლება.

არის მდგომარეობა, როდესაც ლოკალიზებულ რეგიონში ინფექციის აფეთქება, დაავადების უცაბედი, სწრაფი გავრცელება ხდება. მაგალითად, 2019 წლის დეკემბერში, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღმოსავლეთ ნაწილში საგრძნობლად გაიზარდა ებოლას ვირუსის გავრცელების მაჩვენებელი. მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის საგანგებო მდგომარეობად გამოაცხადა, დაავადება შეკავდა და არ მიიღო ეპიდემიის ხასიათი.

დაავადების ფართოდ გავრცელებას უფრო ვრცელ რეგიონებში, ეპიდემიას უწოდებენ. მაგალითად, ეპიდემია იყო ებოლას გავრცელება დასავლეთ აფრიკაში 2013-2016 წლებში.

მას შემდეგ, რაც ცხადი ხდება, რომ ეპიდემიას მთელ მსოფლიოში გადაადგილებისა და გავრცელების უნარი აქვს, უკვე შესაძლებელია მისი პანდემიად შეფასება.

საინტერესოა, როდის ხდება ეპიდემია ოფიციალურად პანდემია. 2009 წელს აშშ-ში ეპიდემიის სახით გავრცელდა გრიპის ვირუსი, დაავადება საკმაოდ სწრაფად გავრცელდა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ის პანდემიად გამოაცხადა. ამისათვის, ორგანიზაცია იყენებს ფორმალურ პროცესს, რომელშიც მხედველობაში იღებს გავრცელების ზუსტ ხასიათს ქვეყნების მიხედვით.

2019 წლის დეკემბერში ჩინეთის ქალაქ უხანიდან გავრცელებული ახალი ტიპის კორონავირუსით გამოწვეული დაავადება ორ თვეში მსოფლიოს ასზე მეტ ქვეყანას მოედო და შესაბამისად, 2020 წლის 11 მარტს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ის ოფიციალურად გამოაცხადა პანდემიად.

საწვრთნელი ვარჯიშების განახლებამდე

კასპის საფეხბურთო სკოლების აღსაზრდელები, მათი მწვრთნელები და სპეციალისტები, გულშემატკივრები წელს უფრო იმედიანი განწყობით არიან, რადგანაც ქალაქში ახალი სტადიონის გახსნის შემდეგ გაჩნდა მოტივაცია და უდიდესი მიზანდასახულობა იმის გათვალისწინებით, რომ შარშანდელი სპორტული მიღწევები /არც თუ ისე ურიგო/ მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ, ღირსეული მეტოქეობა გაუწიონ რეგიონულ თუ რესპუბლიკურ მოწინააღმდეგე გუნდებს და საამაყო ფურცელი ჩაწერონ რაიონის სპორტულ მატიანეში.

მოკლედ, მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლების კოლექტივებში გაერთიანებულ მოზარდებსა და ფეხბურთის ფანატებს, გულშემატკივრებს ჩვენი ქალაქის ახალი, გალამაზებული და კეთილმოწყობილი, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი, ევროპული სტილის საფეხბურთო არენა უხმობს... დღე არ გავა, რომ სტადიონზე ერთდროულად ოთხი-ხუთი გუნდი არ ვარჯიშობდეს. ბავშვების საყურებლად, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, გასამხნევებლადაც აქ ყოველდღიურად ნახავთ სპორტის მოყვარულებსა

და ვეტერან ფეხბურთელებს, მშობლებს.

— მართალია, მარტის დასაწყისიდან /კორონა ვირუსის პანდემიასთან დაკავშირებით/ დროებით შეჩერებულია საწვრთნელი ვარჯიშები, მაგრამ სკოლის ყველა გუნდი დადგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით ინტენსიურად ვარჯიშობს, — აცხადებს კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი შოთა გოგიაშვილი, — შვიდი ასაკობრივი ჯგუფი თავგამოდებით ემზადება მომავალი რეგიონული თუ რესპუბლიკური სპორტული ტურნირებისათვის. ბუნებრივია, რომ არ გამოვტოვებთ არც ერთ საფეხბურთო შეხვედრაღონისძიებას, არადა, როგორც უკვე ჩვენთვის ცნობილი გახდა, მთელი წლის განმავლობაში გაიმართება უამრავი საფეხბურთო ტურნირი, მათ შორის, ოფიციალური, ამხანაგური ასპარეზობა, დაგეგმილია აგრეთვე, სპორტული შეხვედრაღონისძიებებიც, სადაც დარწმუნებული ვარ ჩვენი აღსაზრდელები ღირსეულად გამოვლენ.

ამისათვის კი. წინასწარ საგულდაგულოდ და მონდომებით, პროფესიონალურ დონეზე ემზადებიან, ნორჩი ფეხბურთელები, თავს არ ზოგავენ, გამოცდილებას არ იშურებენ მათი მწვრთნელები. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქალაქის საფეხბურთო ჯგუფების გარდა განსაკუთრებულად აქტიურობენ სოფლების: სამთავისის, სასირეთის, ლამისყანის, თეზის, ზემო ხანდაკისა და ქვემო გომის საფეხბურთო ჯგუფები. ერთი სიტყვით, ყველა მობილიზებულია და მოუთმენლად ელოდებიან ვარჯიშების განახლებას... ამ რამდენიმე დღის წინ კი, საფეხბურთო ჯგუფების აღსაზრდელებმა ერთი სასიამოვნო ამბავიც გაიგეს. საქმე ის გახლავთ, რომ უახლოეს დღეებში საფეხბურთო სკოლის მესვეურები ბავშვებს საზეიმო ვითარებაში გადასცემენ ახალთახალ სპორტულ ინვენტარს, ბურთებს, მაისურ-შორტებს, გეტრებს და სპორტულ ფეხსაცმელებს, აგრეთვე, სხვადასხვა სახის სპორტულ სავარჯიშოებს.

იმედია, წახალისებული, სათანადოდ "შემოსილი" და გალამაზებული კასპელი მოზარდები თავს ნამდვილად გამოიჩენენ სპორტულ არენაზე, მეტიც, მოხერხებულობითა და "გამჭრიახობით" მოხიბლავენ და თავს დაამახსოვრებენ რეგიონულ თუ თბილისურ საფეხბურთო გუნდებში მოასპარეზე სპორტსმენებს.

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

იაპონელი ექიმები იძლევიან რჩევას..

შეამოწმეთ ყოველ დილას სასუნთქი ორგანოების მდგომარეობა შემდეგნაირად. ჩაისუნქეთ და შეიკავეთ ჰაერი 10 წამის განმავლობაში.

ჯანმრთელმა ფილტვებმა უნდა გაუძლოს ყოველივეს დახველების და დაძაბვის გარეშე.

ეცადეთ იქონიოთ პირის ღრუ მუდამ ნესტიანი.!!!

ვირუსი თუ პირის ღრუში მოხვდა სისველე მას ჩაიტანს კუჭამდე, კუჭში კი მას კუჭის სიმჟავე გაანადგურებს წინააღმდეგ შემთხვევაში, ვირუსი პირდაპირ გადადის ბრონქებში და ფილტვებში. ეცადეთ ყოველ 15 წუთში მიიღოთ სითხე, წყალი (პატარა ყლუპებით) და არანაირი სხვა გამაგრილებელი სასმელები.

ეცადეთ მოერიდოთ დაუბანელი ხელით თვალის და ცხვირის ზონის შეხებას.

არსებობს დამატებითი რჩევაც- გამოწურეთ ლიმონი, რამდენიც გესიამოვნებათ, გამოწურულ ლიმონის წვენში ჩააყარეთ ერთი ჩაის კოვზი საჭმელი სოდა, როცა ქაფი დაცხრება, ეს ნაზავი გაურიეთ სასმელ წყალში.

სვით მთელი დღის განმავლობაში.

ლიმონის დოზა შეგიძლიათ გაზარდოთ. სოდის დოზა არავითარ შემთხვევაში!

გისურვებთ ბედნიერ და ჯანმრთელ ცხოვრებას..

გამოგვეხმაურეთ!
მკითხველს შეუძლია მოგვწოდოს შემეცნებით-გასართობი მასალები, სავარჯიშო კრებები. დინწერილებულ ავტორს შეუძლია მოგვმართოს მისამართზე - ყასჭი, სასაყაძის ქ. 68. ან დარეკოს ტელეფონზე: 03712 22576.

მეგობრებო, კვლავაც გვესტუმრეთ კასპში!

ამბობენ, ქვეყნიერებას ბოლო საუკუნის განმავლობაში არ დამუქრებია და შეჰყრია ისეთი ვერაგი დაავადება, როგორიც ახლანდელი ვირუსული ეპიდემია (პანდემია) არის, სახელად "კორონავირუსი".

წლევანდელი თებერვალ-მარტიდან მთელ მსოფლიოს ისეთი მასშტაბითა და ძალით დაეტაკა ვირუსული "გვირგვინი", სრულიად დუნიამ თუ არ შეკრა ფრონტი უხილავ მტერთან, მასთან დუელში გარანტირებულია კაცობრიობის მარცხი, არა თუ ეკონომიკური, ფინანსური, ფიზიკური კატასტროფული ზარალი.

... ჩვენ სპორტული სფეროს მუშაკები ვართ. ასეთ კონკრეტულ შემთხვევაში, ცხადია, სპორტსმენებისა და მასში დასაქმებული მუშაკების, სპეციალისტების ყოფითი საჭიროებიდან გამოვდივართ და გვაფიქრებს ჩვენს საერთო საქმეში შექმნილი სიტუაცია, რაც გამოიხატება მარტ-აპრილში (ჯერჯერობით!) სპორტის უამრავ სახეობაში გასამართავი დიდ-პატარა შეჯიბრებების გადავადებაში. არა მხოლოდ სპორტული სამყარო ამოვარდა საშეჯიბრო კალაპოტიდან, აქამდე არნახულ და არგაგონილ წამგებიან პოზიციაში აღმოჩნდა გულშემატკივართა უზარმაზარი არმიაც.

მეგობრებო! სპორტის გულშემატკივრებო!

ჩვენო მკითხველებო!

კასპის სასპორტო კომპლექსის ტრადიციულ გვერდში, რისი გაშუქების საშუალებას ესოდენ დაძაბულ დღეებში გვაძლევს გაზეთი "ახალი განთიადი", აბა, გაურკვეველი ვადით გადადებულ შეჯიბრებათა შედეგებზე, ტექნიკურ-სტატისტიკურ მიღწევებზე როგორ გესაუბრებით, თუმცა, ქვემოთ მაინც წარმოგიდგენთ ორ სასიხარულო ცნობას იმ ყმაწვილებზე, ვინც თავის გამოჩენა მოასწრო.

საერთოდ კი, გამხნევების მიზნით, გვსურს, გითხრათ, რომ:

იმედს ნურასოდეს გადაიწურავთ!

იმეგობრეთ სპორტთან, უფრო მეტად ჩააბით თქვენი შვილები და შვილიშვილები სასპორტო სექციებსა და ჯგუფებში, რადგანაც სხეულის გაკაჟება და ჯანმრთელობა, სპორტული მიღწევებით მოგვრილი სიამოვნება და სარგებელი აუცილებელია თქვენი ყოველდღიური არსებობისათვის!

– მალე მაისზაფხულის მზე ჩვენი დიდი მოკეთე გახდება და ყველანი ერთად გავიმარჯვებთ ვირუსულ ომში!

– მეგობრებო, იყავით მარად ჯანმრთელი და კვლავაც გვესტუმრეთ კასპში – სასპორტო დარბაზებსა და არენებზე, სოფლების ნახერხიან საჭიდაოებზე!



მარტის კალენდრის ფურცლებზე:

თარიღი სასპორტო ცხოვრების ისტორიიდან

* თვის იუბილარები:

8 მარტი, 1974 – დაიბადა მამუკა ჯანანაშვილი: ვეტერანი მოჭიდავე, პოლიციის პოლკოვნიკი, საქართველოს სამბოს ეროვნული ნაკრების წევრი გასული საუკუნის 90-იან წლებში, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი (ახალგაზრდები, 1993);

10 მარტი, 1941 – დაიბადა აკაკი მალაციძე: ვეტერანი მოჭიდავე, ქართულ ჭიდაობაში საქართველოს აბსოლუტური ფალავნობის 1967 და 1970 წლების ვიცეფალავანი;

15 მარტი, 1948 – დაბადებიდან 72 წელი შეუსრულდა ქართული სპორტის ლეგენდას, ჭიდაობის მეგავარსკვლავს – ლევან თედიაშვილს, ბევრი კასპელი სპორტსმენის მეგობარსა და სასურველ სტუმარს, ვინც შარშანაც და წინა წლებშიც არაერთხელ სწვევია აქაურებს კასპსა თუ სოფლებში და, რაც მთავარია, პირადად დაუჯილდოებია ახალგაზრდა მოჭიდავეები, ანდა, უბრალოდ ჩამჯდარა მაყურებელთა შორის, უსაუბრია მათთან და გადაუღია სამახსოვრო სურათები... ეს გახლავთ "დიდი ტედის" მხრიდან გამოვლენილი პატივისცემა თაყვანისმცემელთა წინაშე, ანუ, ფაქტი, როცა კაცი-ლეგენდა თვითონ მიდის გულშემატკივართან.

16 მარტი, 1960 – დაბადებიდან 60 წლისთავი შეუსრულდა ზურაბ აზმაიფარაშვილს, ევროპის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტს, წარმოშობით კასპელ

დასასრული გვ10.

იმედის ჯალღა...

1. გაიცანით ნიკა ბერიანიძე – კასპელი კიკბოქსინგელი 10 წლის ყმაწვილკაცი: მან 29 თებერვალს რუს თანატოლ მეტოქესთან გაიმარჯვა "ნეიტრალური" ქვეყნის დედაქალაქის რინგზე. ზუსტად 4 წელია, რაც კასპის მე-3 საჯარო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე დიდი მონდომებით ვარჯიშობს სპორტკომპლექსის კიკბოქსინგის მწვრთნელთან, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონთან, მსოფლიოს ფედერაციის 1997 წლის თასის მფლობელთან, სპორტის ოსტატთან – ოთარ თოიძესთან.

ნიკამ შარშან შიდასაქვეყნო საერთაშორისო ტურნირები მოიგო ახალქალაქსა და ბოლნისში, თავი მოიწონა თბილისის, გორის, ურეკისა და ფონიჭალის დარბაზებში, წლის ბოლოს გახდა საქართველოს თასის გათამაშების მე-3 პრიზიორი.

აი, უცხოურ რინგზე კი პირველად იასპარეზა: ქ. ერევანში კადეტების წარმომადგენლობით საერთაშორისო ტურნირში, წინასწარ ანონსირებულ-აფიშირებულ ე.წ. "სუპერბრძოლის" დაპირისპირებაში დაამარცხა რუსი მეტოქე ბოგდან პოდოროჟნი და ჯილდოდ ირგუნა სპეციალური თასი (სურათზე – კვარცხლბეკთან, საქართველოს კიკბოქსინგის ფედერაციის პრეზიდენტთან, ლაშა ჭურაძესთან ერთად).

დაბოლოს, წლევანდელ ივნისში ჩვენი ნიკა თურქეთის დედაქალაქში გამოვა კადეტების მსოფლიო პირველობაზე.

2. წარმოგიდგენთ ოთარ თოიძის კიდევ სამ პერსპექტიულ კიკბოქსინგელ შეგირდს: ილია, საბა და თორნიკე კაციაშვილებს:

მეხუთეკლასელი ილია და მეორეკლასელი საბა ძმები არიან და ქალაქის მე-4 საჯარო სკოლაში სწავლობენ. მათი ბიძაშვილი თორნიკე კი სოფელ თვალადის სკოლის მეოთხეკლასელია.

ახლახან, შუა თებერვალში, მწვრთნელმა მხოლოდ ესენი იახლა ქ. თბილისის ღია პირველობაზე და გასახარია, რომ იმედები სამივემ გაუმართლა: უფროსმა, ილიამ, მხოლოდ ფინალური ორთასბრძოლა დათმო და მე-2 ადგილზე დარჩა, უმცროსმა საბამ და თორნიკემ გაჩემპიონებით გაახარეს პირადი მწვრთნელი.

როგორია, პატარა კაციაშვილების 3-წევრიანი გუნდიდან სამივე ამაყად იდგა გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე!

არის კიდევ ერთი პიროვნება, რომელიც ყველაზე მეტად არის ამაყიც და დაინტერესებულიც სამივეს სპორტული მიღწევებით (მაგალითად, თორნიკე ამასწინანდელი ვარიანში გამართული გიორგი კანდელაკის სახელობის საქალაქთაშორისო ტურნირის გამარჯვებულიცაა). ესაა მათი პაპა – ილია კაციაშვილი, კასპის სპორტკომპლექსის ავტომძღოლი. იგი არა მარტო საკუთარი, არამედ ყველა აქაური ნორჩი სპორტსმენის ნამდვილი პაპაა და სწორედაც გამარჯვებებისათვის მიჰყავ-მოჰყავს ისინი საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში გასამართავ შეჯიბრებებში.

მეგიძლიათ, მიგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ფოტოები, ნახატები, ამბები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში. „ვეხუტა„ ელოდება გამოხმაურებას. გვხლით ჩვენი მეითხვლი!



Winetraveler არის ვებ-გვერდი, რომელიც პოპულარიზაციას უწევს მეღვინეობას, იგი აქვეყნებს სტატიას, სადაც მსოფლიო მასშტაბით შერჩეულია 10 ნაკლებად ცნობილი ღვინის რეგიონი/ ქალაქი, რომელსაც უნდა ესტუმროთ.

სასიხარულოა, როცა ამ ჩამონათვალში ხვდები შიდა ქართლის რეგიონს და კონკრეტულად ქ. კასპში არსებულ მერებაშვილის მარანს, რომლის დამაარსებელიც ბატონი გია მერებაშვილი სამწუხაროდ დღეს ცოცხალი აღარ გახლავთ. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ მისი ოჯახი ასე ღირსეულად აგრძელებს დაწყებულ საქმეს, რითიც თავისი ქალაქისა თუ რეგიონის პოპულარიზაციაშიც დიდი წვლილი შეაქვს.

ვირუსიანმა შეიძლება მიგვიყვანოს ანტივირუსული პრეპარატის შექმნამდე

უტრეხტის უნივერსიტეტის ერასმუსის სამედიცინო ცენტრის მკვლევართა ჯგუფი აცხადებს, რომ აღმოაჩინეს კორონავირუსული დაავადება COVID-19-ის გამომწვევი ვირუსის, SARS-CoV- 2-ის საწინააღმდეგო ანტისხეული.

ანტისხეული აქამდე ჯერ აღმოჩენილი არ იყო. ამ აღმოჩენამ შეიძლება მიგვიყვანოს ანტივირუსული პრეპარატის შექმნამდე.

მათი განცხადებით, მათ მიერ ნაპოვნი ანტისხეული ახდენს ვირუსის ნეიტრალიზებას და გვთავაზობს როგორც კორონას, ისე მწვავე რესპირატორული სინდრომის კორონავირუსის ქვეგვარის ვირუსების მიერ გამოწვეული სხვა დაავადებების პრევენციისა და მკურნალობის პოტენციალს.

რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, ეს გახლავთ პირველი ანტისხეული, რომელიც ინფექციას ბლოკავს, მსგავსი აღმოჩენა ძალიან იშვიათია, განმარტავს გროსველდი.

ამ აღმოჩენის წყალობით, შეიძლება შეიქმნას მედიკამენტი, რომელსაც კორონავირუსის ამჟამინდელი შტამით ინფიცირებულ ადამიანთა სამკურნალოდ გამოვიყენებთ.

გროსველდის თქმით, მისი შექმნა ვაქცინაზე სწრაფად არის შესაძლებელი, მაგრამ ესაჭიროება რამდენიმე თვის განმავლობაში ტესტირება და ამავე დროს, მისი წარმოება ვაქცინაზე უფრო ძვირი იქნება.

ჩვენ ახლა ვცდილობთ მოვძებნოთ ფარმაცევტული კომპანია, რომელიც ამ ანტისხეულის ფართომასშტაბიან, პრეპარატის სახით წარმოებას შეძლებს, ამბობს კვლევის ავტორი, უჯრედული ბიოლოგიის პროფესორი ფრანკ გროსველდი.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება

მომავალ თაობაზე ზრუნვის ეგიდით

თებერვლის მიწურულს გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა საინტერესო ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის დარგის მუშაკები, საჯარო სკოლების მოსწავლეები, ახალგაზრდები და მოწვეული სტუმრები, აქ იმყოფებოდნენ აგრეთვე, მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების წარმომადგენლები: კერძოდ კი, საბავშვო ბაღების გამგეები და მასწავლებლები, ექთნები, აღმზრდელები, ფსიქოლოგები, მეთოდისტები. შეხვედრის ორგანიზატორი გახლდათ კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება და კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, საინფორმაციო მხარდამჭერი გაზეთი "ახალი განთიადი"... ღონისძიება შესავალი სიტყვით გახსნა მუზეუმის დირექტორმა გიორგი ჩადუნელმა და სხვათა შორის, მან თავის რამდენიმეწუთიან გამოსვლაში გაიხსენა ანალოგიური ხასიათის შეხვედრა, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინ ჩატარდა მუზეუმში და მას დღემდე კმაყოფილებით იხსენებენ, უფრო მეტიც, დადებით შეფასებას აძლევენ როგორც სკოლამდელი დაწესებულებების წარმომადგენლები და დარგის სპეციალისტები, ასევე აღსაზრდელების მშობლები. ერთი სიტყვით, მაშინაც და ახლაც შეკრებილთა დიალოგის მთავარი თემა გახლდათ მომავალ თაობებზე ზრუნვა.

საინტერესო, შინაარსიანი და საფუძვლიანი მოხსენებით "სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები კასპის მუნიციპალიტეტში" — დამსწრე საზოგადოების წინაშე გამოვიდა მუზეუმის განყოფილების გამგე ნანა მერებაშვილი, რომლის გამოსვლა იმითაც იყო საინტერესო და ორიგინალური, რომ თემის განხილვამ მიიღო ერთგვარი პრეზენტაციის სახე, მოკლედ, მომხსენებლის მიერ წინასწარ, საგანგებოდ მოძიებული რაიონში არსებული თითქმის ყველა საბავშვო ბაგა-ბაღის შექმნისა და არსებობის ფოტო-დოკუმენტური ისტორია /ვრცელი მასალა /, თვალსაჩინოების მიზნით ნაჩვენები იქნა მონიტორზე და ეს ისტორიული ფოტოკოლაჟი მოამზადა თეა ბიჭიკაშვილმა. მომხსენებელმა გამოსვლაში ცალსახად აღინიშნა ის ფაქტი, რომ ბოლო ათწლეულებიდან მოყოლებული დღემდე ადგილობრივი ხელისუფლებები სისტემატურად ზრუნავენ საბავშვო დაწესებულებებში სასწავლო და სააღმზრდელო პროცესების გაუმჯობესებისა და დახვეწისათვის, საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ადგილობრივი ხელისუფლება პირუთვნელად აფასებს პედაგოგ-აღმზრდელთა თავდაუზოგავ მუშაობას, რომელიც ემსახურება მომავალი თაობის აღზრდას, მათ სრულყოფილ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას... მარტო ის რად ღირს, რომ ბოლო წლებში ბავშვთა კვების პაკეტი 25 ლარამდე გაიზარდა, ბაღებს დაემატა ფსიქოლოგისა და ლოგოპედის შტატები, 2014 წლიდან მოყოლებული დღევანდლამდე ინტენსიურად მიმდინარეობს საბავშვო ბაგა-ბაღების აღდგენითი, სრული სარეაბილიტაციო და განახლებითი სამშენებლო სამუშაოები, საერთო ჯამში სრული და ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 21 ბაღს, უახლოეს ხანში დაგეგმილია კიდევ იგოეთის, რენესა და გრაკლის ახალი ბაღების მშენებლობა.

ასე და ამგვარად, სასწავლო დაწესებულებებში განხორციელებული მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და აქ დანერგილი თანამედროვე სასწავლო-სააღმზრდელო მეთოდების წყალობით მნიშვნელოვნად გაიზარდა ბავშვთა კონტინგენტი, დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში ირიცხება 1. 568 აღსაზრდელი. ერთი სიტყვით, ამ საჩვენებელ ღონისძიებაზე კიდევ ბევრ საინტერესო თემაზე ისაუბრეს ორატორებმა და გამომსვლელებმა, რომელთა შორის იყვნენ კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დირექტორი გივი მელაძე... ნამდვილად საქმიანი და შთამბეჭდავი უწოდეს აღნიშნულ პრეზენტაციას სიტყვაში გამოსვლისას კასპის №5 ბაღის გამგემ ლალი მილაძემ და ქვემო ჭალის ბაღის გამგემ ნათია მჭედელაძემ, აგრეთვე ჟურნალისტმა ამირან ტალახაძემ. დასასრულს, ბაგა-ბაღების აღმზრდელ-პედაგოგებმა და მოწვეულმა სტუმრებმა სიამოვნებით დაათვალიერეს მუზეუმის მრავალფეროვანი და მდიდარი ექსპოზიცია. სტუმრებს ექსკურსიამძღოლობას უწევდნენ ლანა თათანაშვილი და ნელი ნიაზაშვილი.

ფორტეპიანოს ხმა სრი ისმის, როიალიც ლოდს...

მუსიკალური სკოლა დროებით კასპის მესამე საჯარო სკოლაში გადავიდა

ქართველს ყოველთვის თან სდევდა მუსიკისადმი გამორჩეული დამოკიდებულება. ალბათ ამიტომ მღეროდა ლხინში, შრომაში, ბრძოლაში ... ამ დამოკიდებულებამ შექმნა ქართული სიმღერის მრავალხმიანი სასწაული.

მუსიკა ქართველთა ყოფაცხოვრებისა და წესჩვეულებების განუყოფელი ნაწილი იყო. მან იმთავითვე ჰპოვა მრავალფუნქციური დატვირთვა, რამაც განუზომლად გააფართოვა მუსიკალური ჟანრების წრე.

ყველას კარგად მოეხსენება 1977 წელს ამერიკული კოსმოსური ხომალდით "ვოიაჯერი" კოსმოსში გაიგზავნა ქართული ხალხური მრავალხმიანობის უბადლო ნიმუში "ჩაკრულო".

კომპოზიტორ იგორ სტრავინსკის აზრით: საქართველოში მიკვლეულ ცოცხალ საშემსრულებლო ტრადიციას უდიდესი წვლილი შეაქვს მუსიკალურ მეცნიერებაში. ეს წვლილი ახალი მუსიკის ყველა აღმოჩენაზე უფრო მნიშვნელოვანია. უბადლოა იოდლი, რომელსაც საქართველოში კრიმანჭულს ეძახიან.

2001 წელს იუნესკომ ქართული ხალხური მუსიკალური კულტურა აღიარა მსოფლიოს არამატერიალური, სულიერი საგანძურის შედევრად. ქართული ხალხური სასიმღერო შემოქმედება სათავეს იღებს უხსოვარი დროიდან.

ძველი წელთაღრიცხვის - საუკუნეების ისტორიული წყაროები გვაწვდის ცნობებს ქართველთა საფერხულო, შრომისა და სამგზავრო სიმღერების შესახებ. იმ შორეულ ეპოქაში იშვა სხვა ჟანრებიც, რაზეც მიგვანიშნებს ჩვენამდე მოღწეული მრავალი სიმღერის არქაული წყობა და წარმართული შინაარსი. ეს მოკლე ექსკურსი იმიტომ შემოგთავაზეთ, რომ მუსიკალური განათლება უხსოვარი დროიდან გახდა ქართველი ადამიანის არსებობის განუყოფელი ნაწილი.

საქართველო უძველესი მუსიკალური კულტურის ქვეყანაა. ქართველმა ხალხმა თავისი მრავალსაუკუნოვანი განვითარების გზაზე შექმნა საერო და სასულიერო მუსიკის მაღალმხატვრული ნიმუშები. ქართული ხალხური მუსიკა აღიარებულია უნიკალურ მოვლენად. ნოტებით მასში გაცხადდა ქართველი ხალხის შემოქმედებითი ენერგია და გამომგონებლობა, მისი მუსიკალური გენია.

ასეთი სინამდვილის პატრონები გამორჩეულად ვზრუნავთ ახალგაზრდების მუსიკალურ განათლებაზე. კასპში და არამარტო ქალაქში, რაიონის ბევრ სოფელში ყოველი მეორე ან მესამე თუ არა, მეოთხე თუ მეხუთე მაინც გაიხსენებს ქალაქის სამუსიკო სკოლაში გატარებულ წლებს, დაუფარავად მოგიყვებათ, თუ როგორ აძალებდა დედა მუსიკაზე წასვლას და იმასაც დასძენს დანანებით, რომ ნამდვილად დააშავა, გაუძალიანდა მშობლებს და უარი თქვა მუსიკის სწავლაზე... არადა, კასპის სამუსიკო სკოლა, ქალაქის ეს ერთერთი უმნიშვნელოვანესი საგანმანათლებლო კერა ნახევარ საუკუნეზე მეტია / გაიხსნა 1961 წელს/ უდიდეს სამსახურს უწევს რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობას და მის კედლებში დაფრთიანებულმა ათობით აღზრდილმა ჯეროვანი ადგილი დაიმკვიდრა ქვეყნის მუსიკალურ სივრცეში.

ყოველწლიურად იზრდება სამუსიკო სკოლის აღსაზრდელთა კონტინგენტი, დღეის მდგომარეობით სკოლა 335 მოსწავლეს ითვლის, ბავშვები აქ მარტო ფორტეპიანოს კლასში კი არ ირიცხებიან, ქართული ფოლკლორის ისტორიის, ხალხური სიმღერის, ხელოვნებისა და ხატვის შესწავლის საფუძვლებსაც ეუფლებიან. მაგრამ ამჯერად, სამუსიკო სკოლაში აღარც ფორტეპიანოს ხმა ისმის და აღარც ბავშვების ჟივილ-ხივილი, /დროებით, სრულიად გასაგები მიზეზების გამო / საქმე ის არის, რომ ამ ორიოდე თვის წინ აქ მშენებლები მოვიდნენ, დაიწყო შენობის სრული სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოები.

— კარგია რომ ეს პროცესი დაიწყო, უნდა ითქვას ისიც, რომ სწორედ ადგილობრივი ხელისუფლების უდიდესი ძალისხმევითა და მონდომებით, მხარდაჭერით ეს საკმაოდ ძვირადღირებული პროექტი დაიგეგმა, — აცხადებს კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი ლალი ჯანჯალაშვილი, — ერთი სიტყვით, როგორც უკვე ცნობილი გახდა სამუსიკო სკოლის შენობის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ აქ სულ სხვა სურათს ვიხილავთ და საბედნიეროდ, უახლოეს ხანში რაიონს ექნება სრულიად განახლებული, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ტიპიური სასწავლო დაწესებულება.

როგორც პროექტი ითვალისწინებს შენობაში მთლიანად განახლდება ინფრასტრუქტურა, კერძოდ შეიცვლება სახურავი და ჭერი, კარ-ფანჯრები, მოწესრიგდება სველი წერტილები, სასმელი წყლისა და საკანალიზაციო ქსელი, იატაკი, რა თქმა უნდა, განახლდება, მთლიანად შეიცვლება ელექტროგაყვანილობა და გათბობა, კეთილმოეწყობა სკოლის შესასვლელი, კიბეები, შემოგარენი...

სულ სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება 555 291 ლარია და იგი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

სკოლის შემოგარენი მთლიანად და მისი ეზო პატარა სამშენებლო პოლიგონს წააგავს, სამშენებლო და დამხმარე მასალებით მარაგდება ობიექტი, დღის ნებისმიერ მონაკვეთში ნახავთ სამშენებლო მასალით დატვირთულ ტრანსპორტს, შეუფერხებლად მუშაობენ მშენებლები, სამუშაო პროცესს აკონტროლებენ ქალაქის მერიის შესაბამისი სამსახურები.

— პროექტის მიხედვით მიმდინარე წლის ივნისის ბოლოს უნდა დასრულდეს სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი, — განმარტავს შპს "აგრომშენსერვისის" წარმომადგენელი ნიკოლოზ გარდავა, — რომელიც გულისხმობს სამშენებლო სამუშაოების მხოლოდ ნაწილს, მაგალითად, შენობის გამაგრებითი, ლესვითი და რკინაბეტონის სამუშაოები, პირველი ეტაპი ითვალისწინებს აგრეთვე, ელექტროგაყვანილობის სამუშაოების დასრულებასაც. შორიდან, მხოლოდ თვალის ერთი გადავლებითაც კარგად ჩანს, რომ მშენებლები დროს არ კარგავენ, წლის ბოლოსათვის აქ ბევრი რამ გამოიკვეთება, სხვათა შორის, სკოლას ახალი სახურავიც ექნება და მთლიანად დასრულდება სადემონტაჟო სამუშაოები.

"ფრთიანი ფრაზები"

ბავშვობაში თიანი ფრაზები" ნათქვამი "ფრ- ლად იკავებენ ადგილს ოჯახ- ურ "ოქროს ფონდში," თავ- დამსახურებუ- ბიდან თაობას გადაეცემიან და ყველა შინაუ- რული თავყრი- ლობის მთავარი სახალისო საამ- ბობნი არიან. შეინახეთ თქვე- ნი ბავშვობის საინტერესო წუთები ჩვენს რუბრიკაში "მაკნატუნა" და გახდით რუ- ბრიკის სტუ- მარი.

გილოცავთ!

თჟვენი იმედი ვრ მოგვიშვლოს ღმერთმვ!



ვთწლოდულობით გვმოცდილ ჰრთოფლ�ნაბიჯებს, ჩვენი ჯერგვლ ყოფნის იმედსვ და ციმშვილდს, ფძვინთვნს, მვლოიან და ფბრვლოლ ფცვჟვრლეს რთვმზ გილრგვძეს ვულოცავთ ცვიფბილეთ ლბვლებიან ლოს!

ძვინთვნლ ეჟიმთ! მლბლოვლ გიხრით თვენ და ვვმყოფბთ თჟენი ჰრთოფლებინლბმით! იცოცხლეთ ლილხვნს ჩვენს იმედლ!

ლოს, რთცვ ეჟიმთ თვენლბლებვ გვნცვყფთრებფლვლ გვმოჭინვ ლრთმ, ყიდევ ერთხელ ვვმოწმებთ, რთმ ჩვენც გვეკვენ ეჟიმი, რთმელთცვ ყველა ვენლობით!

ჯვნმრთელობვ და ჰოზიდევი თჟენ! მვლოფბვ ერთგულებიანთვენ!

ჰვტიენტებიან ცხილთი ნვნვ მერებშვილი.

გილოცავთ!

ჩვენს ერთგულ, ცვიმელ და ლინჩყულ მეგობვრს მვნვნვ ჟიკიძეს ვულოცავთ ლბვლებიან ლოს!

ჯვნმრთელობვ, ციყითე და ილბვლი ვრ მოგიშვლოს ღმერთმვ.

ნვნვ, რფცილი, მვრინვ

ფოტო მატიანე

,,ცხვლი გვნთიავლი,, ეძებს ცვინდერეცლ ცყურთებს რთვილნიან ცვგვზეთ ფოტო-მვდიანიან შეცვჟმნელლვლ. თხოვნით მივმვრთ ვვ თვნვრთვილნელებს - ლვლოვეთ თჟვენი ყვვლი ჩვენს მვდიანეში! გვმოგვიგზვნეთ გვნვლილი ცხოვრებიან ვმცვხვეული, ინდერეცლ შეიმნახვი, წინვჰრებიან ცხოვრებიან ვმცვხვეული ცვინდერეცლ ლ ცვხვლიცლ ფოტოები!

ერთვლ გვიხცენთ რთგორ ცხოვრობლენ, რთგორ ვცხოვრობლით ...

გვმოგვიხმეურეთ!

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვრცელდება ყველა ცვჯვრთ თუ ყერძო ცყოლაც ვვძლევთ შეცვძლებლობაზ გვზეთიან ცვშუალებით ფვრთთ მყითხველს გვაცნოს ცვჯვრთ ცყოთრი ცყოლიან ინტერესი ლ ვწმეთ,

2019-2020 ცვხწვლო წლიან გვნმვლობაში შეცვძლებლობაზ გვჟვთ გვზეთში გვმოვჟვეყნოთ მშობლიური ცყოლიან მილწევები, გვზეთიან ფფრცლებიან მეშვეობით ცვჯვრთ გვხვლოთ თჟვენი ჰრობლემები, ლაცვხოთ ცყოლიან ცვხფრველი ცვმომვლო გეგმები, ყველაზ გვაცნთ ლევწლომოცილი, ვხლგვზრლვ თუ ვხვლზელვ ჰელვგეგები, გვიანმზეთ ცვლ ლ რთგორ ცწვლობთ, რითი ვმყობთ, რა გცყრთ,..

გვაცვნით თვნვრთვილნელებს თჟვენი ყურცლვმთვრებული მეცნიერები, რომლებიც ვრ ივიწყებენ ვლომვ-მვდერს.

ცხოვრებიან ცვყეეთიცლ ლ ყმშვენიერეს წლებს ვვცვრებთ ცყოლოვში ლ გვინდვ, რომ იჟ გვცვრებული წლები იყოს მნიშვნელოვანი, წვრმვდებული, ლაყვიწყრი.

გვმოგვიხმეურეთ!

კასპის სპორტული კომპლექსი

მარტის კალენდრის ფურცლებზე:

თარიღი სასპორტო ცხოვრების ისტორიიდან

დასასრული. დასაწყისი გვ-7.

(მეტეხელ) კაცს, მივულოცოთ!

24 მარტი, 1968 – დაიბადა გიორგი (ტატა) რამაზაშვილი: ვეტერანი მოჭიდავე, ლამისყანელი ლეგენდარული მოჭიდავის, გოგლა რამაზაშვილის შვილიშვილი, ამჟამად სოფელში საჭიდაო საქმეებში ერთ-ერთი ყველაზე კითხული პიროვნება, უცხოეთში წარმატებული ორი მოკრივე ვაჟიშვილის მამა;

25 მარტი, 1967 – კასპელი ყველა ძალოსნობის გულშემატკივრის სახელით დაბადებიდან 53-ე წლის შესრულება უნდა მივულოცოთ კობა ტალახაძეს – საშინაო თუ საგარეო სპორტული უმაღლესი წოდება-რეგალიისა და ჯილდოს მფლობელისა და ყველაზე ღონიერი დედამიწელის, ლაშა ტალახაძის მამას!

29 მარტი, 1961 – დაიბადა ოლეგ იაძე: ვეტერანი მოჭიდავე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს სამბოს ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელი, რომლის ხელმძღვანელობით ქართველმა სამბისტებმა 1992-90 წლებში მოიპოვეს მსოფლიოსა (1997) და ევროპის ჩემპიონობა (1999) და მრავალგზისი პრიზიორობა, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997).

გავიხსენოთ:

პირველი მარტი, 1950 – 70 წლის წინ დაიბადა გიორგი ქამხაძე: ვეტერანი მოჭიდავე, საქართველოს აბსოლუტური ფალავნობის 2-გზის პრიზიორი (გარდაიცვალა 2015);

პირველი მარტი, 2013 – გარდაიცვალა გიორგი ნავროზაშვილი: კასპის რაიონის სპორტის ისტორიაში ერთ-ერთი სახელოვანი მოჭიდავე, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი საჭიდაო სახეებში, არაერთი ახალგაზრდა სპორტსმენის მწვრთნელი და სასკოლო პედაგოგი;

9 მარტი, 1944 – დაიბადა ნუგზარ შატაიძე: მწერალი, ქართული სიტყვის ოსტატი და მომფერებელი, საჭიდაო თემაზე დაწერილი წიგნებისა და საგაზეთო პუბლიკაციების ავტორი და სპორტული ჟურნალისტი, სცენარისტი (გარდაიცვალა 2009);

15 მარტი, 1938 – დაიბადა შოთა გულიაშვილი: ქართულ ჭიდაობაში საქართველოს აბსოლუტური ფალავნობის 1970 და 1971 წლების გამარჯვებული, ქ. თბილისის ფალავანი (1970), (გარდაიცვალა 2013);

15 მარტი, 2011 – 52 წლის ასაკში გარდაიცვალა ნოდარ ნუგზარიშვილი: ერთ-ერთი წარმატებული მოჭიდავე-ძიუდოისტი, სსრკ-ის 1980 წლის ჩემპიონატის მე-3 პრიზიორი და 1981 წლის აბსოლუტური პირველობის ფინალისტი (მძიმე წონაში);

21 მარტი, 2007 – გარდაიცვალა ომარ მერაბიშვილი: საქართველოსა და სსრკ-ის დამსახურებული მწვრთნელი, ოლიმპიური 3 ჩემპიონის – დავით ხახალეიშვილის, აკაკი კიბორძალიძისა და ირაკლი ცირეკიძის აღმზრდელი, ე.წ. "ქუთაისის ძიუდოს სკოლის" ფუძემდებელი, წარმოშობით კასპელი (ხოვლელი) კაცი.

თუ მშობლებს არ სცალიათ

კარგა ხანია ვწდილობთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სწორად, ისეთ რამეებზე და ისეთ ვინმეებზე, რომელთა შესახებ მშობლებს არ სურთ ან სცალიათ! რომ გიამბონ. თქვენ ახლა უფრო ბევრი იცით ვიდრე შარშან და თუ ხშირად წაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, ბევრ საინტერესო და საინტერესო მოვნო სიახლეს შეიტყობთ მსოფლიოში გაფანტულ საბავშვო მუზეუმებსა თუ ატრაქციონებზე...

მაშ ასე, მოგრძანდით რედაქციაში! გაიფორმეთ ხელმონერა, დატოვეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში დაელოდეთ პასუხს.

შპს „ბესიკ ნიპარიშვილი„ მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი

ნინო ბურდული

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროპკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაცია (თავმჯდომარე გიული სოზიაშვილი) მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი

ნინო ბურდული

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

გიული, მანანა, ლია სოზიაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნინო ბურდული

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

იზაბელა კობიაშვილი თანაუგრძნობს შორენა ხუციშვილს დედის, ნათელა ბურდულს დის, ბესიკ ნიპარიშვილს ცოლის დის

ნინო ბურდულის

გარდაცვალების გამო.

გაზეთი ,,ახალი განთიადი,, თანაუგრძნობს შორენა ხუციშვილს დედის, და ბესიკ ნიპარიშვილს ცოლის დის

ნინო ბურდულის

გარდაცვალების გამო.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. კასპი სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76